პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას - საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821313134, 09/11/2021) წერილი, რომელშიც ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე — მურმან შალამბერიძე

326

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4821313134**
თარიღი: **09/11/2021**
პინი: **0350**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისა'' და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების შესაბამისად წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობას დანართი N1-ის შესაბამისად.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

315

| № | ქონების ადგილმდებარეობა | დასახელება და ფართობი | საკადასტრო კოდი | წლიური საიჯარო ქირა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | |
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი. | 29.00.305 | 28 ლარი |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 44.0 ცალი ლითონის ბოძი | 29.00.306 | 88 ლარი |
| 3 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი. | 29.00.307 | 28 ლარი |
| 4 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 53.0 ცალი ლითონის ბოძი | 29.00.308 | 106 ლარი |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 71.0 ცალი ლითონის ბოძი | 29.00.309 | 142 ლარი |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 11.0 ცალი ლითონის ბოძი | 29.00.310 | 22 ლარი |
| 7 | წყალტუბო-ქუთაისის საავტომობილო გზა | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 242.0 ცალი ლითონის ბოძი | 29.00.144 | 484 ლარი |
| 8 | ქალაქი წყალტუბო, წერეთლის ქუჩა N6-ის მიმდებარედ | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 5.0 ცალი ლითონის ბოძი | 29.00.452 | 10 ლარი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | ქალაქი წყალტუბო, 26 მაისის ქუჩის მიმდებარედ | ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 7 ცალი ლითონის ბოძი | 29.00.636 | 14 ლარი |

**ადრესატი:**

მურმან შალამბერიძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49213201**
თარიღი: **16/11/2021**

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მურმან შალამბერიძეს

ბატონო მურმან,
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 9 ნოემბრის N48-4821313134 წერილის საფუძველზე მოვამზადე განკარგულების პროექტი - ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას - საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ", რომელსაც წარმოგიდგენთ კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

320

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

## დ ა ს კ ვ ნ ა

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას - საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 18 ნოემბრის კომისიის სხდომაზე განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821313134, 09/11/2021) წერილი, რომელშიც ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს რიგგარეშე სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

342